JW.ORG

ჩამოტვირთე PDF ფორმატი ვებ-გვერდიდან www.jw.org

# იოსები ეგვიპტის მიწაზე

## ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 39-Ე ᲓᲐ ᲛᲔ-40 ᲗᲐᲕᲔᲑᲘ

შეარჩიეთ ისეთი სავარჯიშო, რომელიც დააინტერესებს და დაეხმარება თქვენს შვილს. მთელმა ოჯახმა ერთად იმსჯელეთ ამ სავარჯიშოზე.




## ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 39-Ე ᲓᲐ ᲛᲔ-40 ᲗᲐᲕᲔᲑᲘ

შემდეგ წაიკითხეთ დასურათებული ბიბლიური ისტორია (ან ონლაინში ან ამობეჭდილი PDF ფორმატიდან) და თითოეული გაკვეთილის ბოლოში მოცემულ კითხვებზე იმსჯელეთ.

**ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ:** სთხოვეთ ბავშვებს, წარმოადგინონ, როგორ შეიძლებოდა სხვაგვარად დასრულებულიყო ეს ბიბლიური ისტორია. სთხოვეთ, რომ მოამზადონ რეპორტაჟი და მასში ჩართონ წარმოსახვითი ინტერვიუები მთავარ მოქმედ პირებთან თუ თვითმხილველებთან.

## ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲝᲡᲐᲑᲔᲭᲓᲘ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲔᲑᲘ



### ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ

**ᲠᲐ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐᲡ ᲮᲔᲓᲐᲕ?** კიდევ ერთხელ წაიკითხეთ დაბადების 40:16, 17. სთხოვეთ ბავშვებს, იპოვონ, რა სამი სხვაობაა ამ ორს სურათს შორის, შემდეგ დაწერონ პასუხები გამოყოფილ ადგილას და გააფერადონ სურათი, რომელზეც ეს ეპიზოდი სწორადაა ასახული.



### ᲡᲐᲮᲐᲚᲘᲡᲝ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲔᲑᲘ

**ᲠᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲓᲐᲕ?** სთხოვეთ მოზრდილ ბავშვებს, წაიკითხონ მინიშნებები და გამოყოფილ ადგილზე დაწერონ, რა მსგავსებას ხედავენ იოსებსა და სხვა ბიბლიურ პერსონაჟებს შორის.



### ᲨᲔᲐᲒᲠᲝᲕᲔ ᲓᲐ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ

**ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ:** წაიკითხეთ ზოგადი ცნობები. სთხოვეთ ბავშვს, გიპასუხოთ ბარათზე მოცემულ კითხვებზე. ისარგებლეთ ამ და სხვა ბარათებზე მოცემული დროის დიაგრამებით, რათა ბავშვი მიხვდეს, დროის რომელ მონაკვეთში ცხოვრობდნენ ის ბიბლიური პერსონაჟები, რომლებიც წიგნ „დაბადებაში“ არიან მოხსენიებული (მინიშნება: წიგნ „დაბადებაში მოთხრობილია იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც ძვ. წ. 1657 წლამდე მოხდა).

www.jw.org © 2013 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania